პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 164 (4674) 1972 წ. 22 აგვისტო, სამშაბათი. ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

## ჩრდილოეთის კედლით

სსრკ 50

11-19 აგვისტოს ქართველმა მთამსვლელებმა სპორტის საპატიო ოსტატის შოთა მირიანაშვილის ხელმძღვანელობით დაიპყრეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალი — კომუნიზმის პიკი (7495 მ) ჩრდილოეთის კედლით. იერიშში მონაწილეობდა 6 სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი.

ეს ახვლა ქართველმა მთამსვლელებმა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

## [illegible]-72

● ბუქარესტი, 20 აგვისტო. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა რუმინეთის ეროვნულ გუნდთან პირველი შეხვედრის წაგებისათვის (17:18) რევანში აიღო, როცა მწვავე ბრძოლაში სძლია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს — 20:16. ამ გუნდების მეორე ამხანაგურ მატჩში საბჭოთა ხელბურთელთაგან ყველაზე მეტი ბურთი (6) ვ. მაქსიმოვმა გაიტანა.

● ქენევა, 20 აგვისტო. საგზატკეცილო ველორბოლის უკანასკნელ წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში — „ვილჰელმ ტელის პრიზზე" საერთაშორისო ექსდღიან ტურში წარმატებით ასპარეზობს კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი. ხან თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა, როცა ყველას აჯობა პირველ ეტაპზე (ლუცერნი — ფლიუელენი 171 კმ) — 4.19.51 (საშუალო სიჩქარე — 39,5 კმ საათში). და თუმცა III ეტაპზე (71 კმ) იგი მეორე იყო, გუსიატნიკოვმა და გამარჯვებულმა კ.-პ. ტალერმა (გფრ) ერთნაირი დრო აჩვენეს — 1.50.43. სამი ეტაპის ჯამში კუიბიშეველმა ლიდერობა შეინარჩუნა.

● ტალეკუა (ოკლაჰომის შტატი), 20 აგვისტო. ექვსწლიანი „შესვენების" შემდეგ საბჭოთა პარაშუტისტებმა კვლავ მოიხვეჭეს მსოფლიო ჩემპიონთა წოდება საერთო გუნდურ ჩათვლაში: წარმატებას მიაღწიეს როგორც ქალებმა, ისე ვაჟებმა.

## მეთექვსმეტე პარტია

**ფიშერი — სპასკი**

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კ:c6 dc 5. 0—0 f6 6. d4 კg4 7. de ლ:d1 8. ე:d1 fe 9. ეd3 კd6 10. მbd2 მf6 11. მc4 მ:e4 12. მc:e5 კ:f3 13. მ:f3 0—0 14. კe3 b5 15. c4 ეab8 16. ეc1bc 17. ეd4 ეfe8 18. მd2 მ:d2 19. ე:d2 ეe4 20. g3 კe5 21. ე1c2 მფf7 22. მფg2 ე:b2 23. მფf3 c3 24. მფ:e4 cd 25. ე:d2 ეb5 26. ეc2 კd6 27. ე:c6 ეa5 28. კf4 ეa4+ 29. მფf3 ეa3+ 30. მფe4 ე:a2 31. კ:d6 cd 32. ე:d6 ე:f2 33. ე:a6 ე:h2 34. მფf3 ეd2 35. ეa7+ მფf6 36. ეa6+ მფe7 37. ეa7+ ეd7 38. ეa2 მფe6 39. მფg2 ეe7 40. მფh3 მფf6 41. ეa6+ ეe6 42. ეa5 h6 43. ეa2 მფf5 44. ეf2+ მფg5 45. ეf7 g6 46. ეf4 h5 47. ეf3 ეf6 48. ეa3 ეe6 49. ეf3 ეe4 50. ეa3 მფh6 51. ეa6 ეe5 52. მფh4 ეe4+ 53. მფh3 ეe7 54. მფh4 ეe5 55. ეb6 მფg7 56. ეb4 მფh6 57. ეb6 ეe1 58. მფh3 ეh1+ 59. მფg2 ეa1 60. მფh3 ეa4. ყაიმი.

* * *

XVI შეხვედრაში ბრძოლა ესპანური პარტიით დაიწყო. ფიშერმა თავისი საყვარელი სისტემა, ეგრეთ წოდებული გაცვლითი ვარიანტი გამოიყენა. მაგრამ ამჯერად ძალიან მშვიდობიანი გაგრძელება აირჩია, რასაც ლაზიერების გაცვლა და ენდშპილი მოჰყვა. როგორც ჩანს, ფიშერს ყაიმის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

სპასკიმ ენდშპილში კარგად ითამაშა, ეტლის დროებითი შეწირვით პაიკი მოიგო, მაგრამ დაფაზე სრულიად ხაყაიმო ეტლების ენდშპილი შეიქმნა. 34-ე სვლაზე მეტოქეებს შეეძლოთ დაზავება, მაგრამ ბრძოლა გაგრძელდა.

სპასკი თითქმის 30 სვლის მანძილზე ცდილობდა მოგების შანსის მიღწევას, მაგრამ ფიშერი ზუსტად იცავდა თავს და პოზიცია მუდამ თანაბარი რჩებოდა.

61-ე სვლის დროს მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 9,5:6,5 ფიშერის სასარგებლოდ. სათამაშო დარჩა 8 პარტია. ფიშერს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად 3 ქულა სჭირდება, სპასკის კი ამ უმაღლესი წოდების შესანარჩუნებლად — 5,5 ქულა.

XVII პარტია დღეს, 22 აგვისტოს უნდა გაიმართოს. თეთრებით სპასკი ითამაშებს.



## ომარ ფხაკაძეს ბადალი არ ჰყავდა

ტალინი, 20 აგვისტო. ადგილობრივ ტრეკზე უდიდესი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის სამი უძლიერესი სპრინტერის შეჯიბრებამ მიუნხენის ოლიმპიადის საგზურისთვის. როგორც გაზეთი „ლელო" 15 აგვისტოს ნომერში იტყობინებოდა, ესტონეთის დედაქალაქის ტრეკზე ფაქტიურად მეორე საგზური უნდა გათამაშებულიყო, ვინაიდან პირველი შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, ხარკოველ ს. კრავცოვს ედო ჯიბეში. ალბათ გახსოვთ, რომ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ველოსპორტის განყოფილების გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილია კრავცოვის გაგზავნა ოლიმპიადაში სასპარეზოდ, ვინაიდან მას წარმატების შემთხვევაში უფლება აქვს ფინალამდე არ შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონს დ. მორელონს (საფრანგეთი).

მეორე საგზურის ბედი ფხაკაძისა და „გდრ ის დიდი პრიზის" წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვებული ვ. ტრიფონოვის დუელს უნდა გადაეწყვიტა.

და აი, ამ „შესანიშნავი სამეულის" ბრძოლაც გაიმართა. პირველ სერიაში კრავცოვმა ტრიფონოვს აჯობა, მერე ფხაკაძემ ზედიზედ მოუგო კრავცოვსა და ტრიფონოვს. შემდეგ ამ უკანასკნელს კრავცოვმაც სძლია. ახლა ჯერი ისევ ფხაკაძეზე მიდგა. თბილისელმა ველოსიპედისტმა არავითარი შანსი არ დაუტოვა მეტოქეებს — ჯერ კრავცოვს გაუსწრო, მერე კი ტრიფონოვს. ფხაკაძემ ყველა სერია დიდი უპირატესობით მოიგო, ხან პირველი პოზიციიდან უტევდა მეტოქეს, ხან — მეორედან.

ყველაფერი ნათელი იყო, მხოლოდ პირველ სერიაში შეიქნა საჭირო ფოტოფინიში.

ამრიგად, ო. ფხაკაძემ მიუნხენის ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა.

* * *

სურათზე: ო. ფხაკაძე.

## პირველად ფინალში

### თამარ გამხიტაშვილის წარმატება

სოხუმში დამთავრდა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალი. ფინალის ორი საგზურისთვის იბრძოდა 12 მოჭადრაკე, მათ შორის, სსრ კავშირის ექსჩემპიონი მ. იაკოვენკო (ბაქო), ოსტატი ი. ზინდერსკაია (კიშინიოვი). სომხეთის ჩემპიონი კ. სირანოსიანი... ჩვენი რესპუბლიკიდან თამაშობდნენ საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი ი. ტყაბლაძე (ქუთაისი), სსრ კავშირის პიონერთა ჩემპიონი თ. გამხიტაშვილი, ნ. ამაშუკელი (ორივე — თბილისი) და რ. ბარამიძე (სოხუმი).

თავიდანვე დაწინაურდა გამხიტაშვილი და ერთპიროვნული ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა: თბილისელმა მოჭადრაკემ 8.5 ქულით I ადგილი დაიკავა. 8-8 ქულით II-III ადგილები იაკოვენკომ და ოსტატობის კანდიდატმა ნ. მირზა-ზადემ (ბაქო) გაიყვეს, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით II ადგილი იაკოვენკოს მიეკუთვნა.

ამრიგად, ჩემპიონატის ფინალში, რომელიც 2 ოქტომბერს აიღებს სტარტს იალტაში, სოხუმის ნახევარფინალიდან ითამაშებს გამხიტაშვილი და იაკოვენკო.

თბილისის მე-100 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი თ. გამხიტაშვილი პირველი ქართველი მოჭადრაკე ქალია, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის ფინალში ითამაშებს. გამხიტაშვილმა შაშის თამაში 12 წლისამ ისწავლა. მეცადინეობდა და მეცადინეობს ოსტატობის კანდიდატ ვ. ნინუასთან. 1971 წელს მოჭადრაკე გოგონამ ოსტატობის კანდიდატის წოდება მოიპოვა, ხოლო იმავე წლის ზაფხულში გოგონათა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. გამხიტაშვილი „კოლმეურნის" წევრია.

ნახევარფინალურ ტურნირში წარუმატებლად ითამაშეს ტყაბლაძემ (3,5 ქულა, X ადგილი) და ამაშუკელმა (O. XII). ბარამიძემ 6,5 ქულით IV-V ადგილები გაიყო.

ნ. იმედაშვილი

* * *



სურათზე: თამარ გამხიტაშვილი.

გ. იაშვილის ფოტო.

## ევგენი ტიცევის ორი მედალი

იჟევსკი, 20 აგვისტო. სოჭელმა ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ევგენი ტიცევმა წყალსათხილამურო სპორტის ოსტატთა VIII საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღეს ორი ოქროს მედალი მოიპოვა. მან ჯერ უძლიერესი სლალომისტის ტიტული შეინარჩუნა, როცა 61,5 ქულა მოაგროვა, მერე კი პირველი იყო ფიგურულ სრიალში — 5380 ქულა.

ყველასთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო რიგელი მეათეკლასელი მოსწავლის ი. პლატკაისის ვერცხლის მედალი სლალომში — 60 ქულა. III ადგილზეა მოსკოველი გ. გუსევი. მასვე II ადგილი ხვდა ფიგურულ სრიალში — 5370. მესამე იყო ყაზანელი ვ. ჩეკინი — 5180.

ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა სვერდლოვსკელმა ა. ერმანმა — 37,8 მ. წინასწარი და ფინალური ცდების ქულათა ჯამი — 720. II ადგილზეა მოსკოველი სამხედრო მოსამსახურე ა. რადუშინსკი — 719, III კი ს. ნოსაჩოვი — 714.

ქალთა ფინალური შეჯიბრება ფიგურულ სრიალში დამაჯერებლად მოიგო მინსკელმა 15 წლის მოსწავლემ ო. პოტესმა — 3800 ქულა. მეორე იყო ტ. როჟკოვა — 3440, მესამე — თ. ზეუტი — 2760.

ტრამპლინიდან ხტომაში I ადგილი დაიკავა დუბნელმა რადიოტექნიკოსმა გ ლიტვინოვამ — 23,7 მ. ვერცხლის მედლის კრეტენდენტებმა პოტესმა და მოსკოველმა ნ. ვორონცოვამ ფინალში ერთნაირი შედეგი აჩვენეს — 23 მ. ვერცხლის მედალი პოტესმა მიიღო, ვინაიდან წინასწარ შეჯიბრებაში მისი შედეგი 10 სმ-ით უკეთესი იყო.

სლალომში ქალთა შორის ქვეყნის ჩემპიონი გახდა 20 წლის მინსკელი სტუდენტი ტ. რეცკა — 28,5 ქულა. ვერცხლის მედალი მიიღო მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის მასწავლებელმა ნ. დემინამ, ბრინჯაოსი — ვორონცოვამ.

მრავალჭიდში ქალთა შორის ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ლიტვინოვამ — 2410, ვერცხლი ვორონცოვამ მიიღო — 2378, ბრინჯაო კი პოტესმა — 2303.

ვაჟებში პირველი იყო რადუშინსკი — 2815. II ადგილზეა მოსკოველი გ. გუსევი — 2665, III კი ტიცევი — 2655.

## რევანში ერთი კვირის შემდეგ

19 აგვისტოს ლუჟნიკის კორტებზე დამთავრდა მოსკოვის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. ქალთა გადამწყვეტ ბრძოლაში, როგორც ერთი კვირის წინ ევროპის პირველობის ფინალში, ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის პირველი ჩოგანი, მოსკოველი ო. მოროზოვა და 19 წლის ალმაათელი მ. კროშინა, რომელმაც მას ბუდაპეშტში კონტინენტის ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა. ამჯერად შედეგი სხვაგვარი იყო. დაძაბულ მატჩში მოსკოველმა მეტოქეს ორი პარტია მოუგო — 8:6, 6:2.

რასაკვირველია, კროშინას მღელვარება გასაგებია. ძნელია გაუძლო თრი ფინალის დაძაბულობას, ისიც ასეთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში. ცხადია, რომ მოროზოვას, როგორც იქნა, გაუჩნდა ღირსეული მეტოქე, რაზეც ამ ერთი წლის წინ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ვაჟთა შეჯიბრების ფინალიც, ასე ვთქვათ, საბჭოური იყო. თამაშობდა თბილისელი თ. კაკულია, რომელმაც ამ ბოლო დროს სპეციალისტები აალაპარაკა (ქვეყნის ჩემპიონი ა. მეტრეველი დაშავებულია და სარბიელზე არ გამოსულა). მან დამაჯერებლად მოუგო გამოცდილ მოსკოველ სპორტსმენს ა. ვოლკოვს — 6:3, 6:4. მოსკოველმა ისლა შეძლო, რომ მეორე პარტიის ბოლოს სამი „მატჩ-ბოლი" მოიგო.

მოროზოვამ კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა რიგელ ზ. იანსონესთან ერთად, როცა მათ ქალთა წყვილების ფინალში მოუგეს კროშინასა და ე. ბირიუკოვას — 4:6, 7:5, 7:5.

მოსკოვში საზღვარგარეთის 8 ქვეყნის 17 ჩოგბურთელი გამოდიოდა, მაგრამ ფინალში მოხვდნენ მხოლოდ საჩოგბურთო სამყაროში კარგად ცნობილი, ინდოელი პ. ლალი და იამაიკელი რ. რასელი. ვაჟთა წყვილების გადამწყვეტ შეხვედრაში ისინი დამარცხდნენ მოსკოველების შ. ტარპიშჩევისა და ვოლკოვის დუეტთან — 6:4, 2:6, 2:6.

სამწუხაროდ, სტუმართა შორის ვარსკვლავები არ იყვნენ, მაგრამ ტურნირის ბევრი ახალგაზრდა მონაწილე იმედის მომცემი სპორტსმენია და ახლო მომავალში ალბათ სახელსაც ძალიან გაითქვამს. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ამერიკელები ჯანეტ ნიუბერი და ჯულია ენტონი, გდრ-ის ჩემპიონი ჰარმან ემრიჰი.

ტურნირი მაშინ დაიწყო, როცა ფავორიტები გზაში იყვნენ, ხოლო დამთავრდა განრიგზე ერთი დღით ადრე, ფინაიდან მონაწილეთა დიდი ჯგუფი, მათ შორის საბჭოთა ჩოგბურთელებიც, აშშ-ს ღია ჩემპიონატში სასპარეზოდ მიემგზავრებიან.

შერეულ წყვილთა თანრიგში ბაქოელების ბირიუკოვასა და ს. ლიხაჩოვის ნახევარფინალური შეხვედრა მოსკოველ ნ. ჩუვირინასთან და კაკულიასთან დაბნელების გამო გადაიდო. შეხვედრა ფინალების დღეს დამთავრდა. ანგარიშით 6:2, 3:6, 6:4 გაიმარჯვეს ბირიუკოვამ და ლიხაჩოვმა.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ მოეწყო ფინალური მატჩი. ბირიუკოვამ და ლიხაჩოვმა ანგარიშით 6:4, 6:4 დაამარცხეს მოროზოვა და ვ. კორთქოვი (მოსკოვი).

ი. ხრომოვი.
(საკლების კორ.).

მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების გახსნამდე დარჩა 4 დღე




## „პირქარი მისურვეთ...“

### მათი კურსი — ოლიმპიადა

წლევანდლამდე მას უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სამი ოქროს მედალი ჰქონდა: ჭაბუკთა შორის, ახალგაზრდული და ერთიც „უფროსებისა“. ევროპის ჩემპიონატში მაინცდამაინც წარმატებით არ გამოსულა. სპეციალისტები აღნიშნავდნენ მის შრომისუნარიანობას, მაგრამ საბრძოლო თვისებები, ურომლისოდაც ახლა წარმოუდგენელია „დიდ სპორტში“ გამარჯვება, ჯერ კიდევ აკლდა. მწვრთნელები სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი და არ უნდოდათ მისი აღიარება ერთეული ნიჩბოსნების ახალ ლიდერად... მაგრამ ეს წინათ იყო, წლეულს კი... თუმცა სჯობს თანმიმდევრობით მივყვეთ.

იური მალიშევმა — მასზეა საუბარი — აკადემიურ ნიჩბოსნობაში სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებს სერიოზული ამოცანა დაუსახა ქვეყნის ბოლო ჩემპიონატის დღეებში. თავდაპირველად მან დამაჯერებლად მოიგო ერთეულთა ფინალური რბოლა, შემდეგ კი წყვილთა თანრიგში ა. ტიმოშინინთან ერთად გამოვიდა და ჩემპიონებიც გახდნენ.

1 თებერვალს მალიშევს 25 წელი შეუსრულდა. იგი მოსკოვის მახლობლად მდებარე ქალაქ ხიმკიში ცხოვრობს — ცნობილი სანიჩბოსნო ტრასიდან ცოტა მოშორებით. ამიტომ არაფერი საკვირველი არ არის იმაში, რომ თხუთმეტი წლის ბიჭმა კლუბ „მაიაკს“ მიაკითხა. მისი მწვრთნელი ვ. სტაროსტინა გახდა. მალიშევი ერთი ნავიდან მეორეში გადაჰყავდა, რომ ჭაბუკისთვის ადგილი ეპოვნა.

ისევე როგორც ბევრმა სხვამ, მალიშევმაც დაამთავრა საშუალო სკოლა და სამუშაოდ წავიდა. ერთი წლის შემდეგ ჯარში გაიწვიეს. იქ თავისუფალ დროს ისევ ვარჯიშობდა აკადემიურ ნიჩბოსნობაში.

სამხედრო სამსახურის წლები მალიშევისთვის პერსპექტიული იუნიორიდან ქვეყნის ჩემპიონად გარდაქმნის წლები იყო. დემობილიზაციის შემდეგ მან წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. მალიშევის მომავალი პროფესიაა სამაცივრო დანადგარების ინჟინერ-მექანიკოსი.

წყვილთა თანრიგში ოლიმპიური ჩემპიონი ტიმოშინინი გვიამბობს:

— მას შემდეგ, რაც ჰენლეის რეგატაში ერთეულთა პრიზი—„ბრილიანტის ნიჩბები“ მივიღე, ვფიქრობდი, რომ ქვეყნის ჩემპიონატში პირველი ვიქნებოდი. მით უმეტეს, რომ სეზონში არც ერთი შეჯიბრება არ წამიგია. თუმცა, ვიცოდი, რა ენერგიულად ემზადებოდა მალიშევი — იგი პირველი იყო ლიუცერნის რეგატაში. ამბობდნენ კიდეც, რომ იქ ორკილომეტრიანი დისტანცია შვიდ წუთზე სწრაფად გაიარა. ასეთი ნიჩბოსნები კი თითებზე ჩამოსათვლელი გვყავს. ფინალში, სადაც ოლიმპიადის საგზურების ბედი წყდებოდა, მთელი დისტანციის მანძილზე ვეწეოდი, ბოლო ას მეტრში თავგანწირულად ვიბრძოლე, მაგრამ ამანაც ვერ მიშველა.

მალიშევის წარმატების მთავარი საწინდარი, მისი ძირითადი მეტოქის აზრით, შრომისმოყვარეობაა. მას მეცადინეობის პროგრამაში შეტანილი აქვს ძალოსნობაც, კროსებიც, სპორტული თამაშებიც.

სსრ კავშირის წლევანდელ ჩემპიონატამდე მალიშევი და ტიმოშინინი არასოდეს გამოსულან ერთი ნავით. არ ვიცი, რომელმა მათგანმა შესთავაზა მეორეს ერთად ასპარეზობა, მაგრამ ამ ეკიპაჟმა ექსპრომტად შეძლო შეესრულებინა საჩემპიონო პარტია, რომელშიც ორივე ხმა თანაბარი სიძლიერით და შეთანხმებულად ჟღერდა. ნახევარფინალში მათ დაამარცხეს საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონები, ლენინგრადელები ნ. ბალენკოვი და გ. კორშიკოვი, ხოლო ვადამწყვეტი რბოლა ყოველმხრივ ლამაზად ჩაატარეს: ტექნიკურად უსვამდნენ ნიჩბებს, ტაქტიკა უნაკლო იყო, დრო შესანიშნავი — 6.12,3.

მალიშევსა და მიუნხენში მის შანსებზე ყველა დაახლოებით ერთნაირად ლაპარაკობს: შეუძლია პრიზიორი გახდეს, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ჰელსინკის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის ექიმ-ფსიქოლოგის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ლ. გისენის „დასკვნაა“:

— სხვადასხვა ტესტის დახმარებით ჯერ კიდევ ამ გაზაფხულზე დავადგინე, რომ მალიშევმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა უპირველეს ყოვლისა მორალურ-ნებელობითი მაჩვენებლები. მოხდა ხარისხობრივი ძვრა მის თვისებებში, ძალთა მობილიზებისა და გამარჯვებისთვის განწყობის უნარში. მორალურად, ვიმეორებ, იგი მზადაა ნებისმიერი ორთაბრძოლისთვის.

საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს ე. სამსონოვს მიაჩნია, რომ მალიშევს თამამად შეუძლია შეებრძოლოს მსოფლიო ჩემპიონს, არგენტინელ ა. დემიდის და დაამარცხოს კიდეც იგი.

... როცა მალიშევს მიუნხენში ზურგის ქარი უსურვეს, მან გაიღიმა და თქვა:

— ზურგის ქარს პირქარი სჯობს, ოღონდ საშუალო ძალისა.

მალიშევი სიმაღლით 180 სმ-ია, წონით კი 80 კგ. ასეთი აღნაგობის ნიჩბოსნისთვის პირქარი მისწრებაა.

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის კორ.).

## ამომავალი მზის ქვეყანაში

XX საუკუნის ოლიმპიურ თამაშებს უმთავრესად ორი კონტინენტი მასპინძლობდა — ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა. 1956 წელს თამაშების გეოგრაფია გაიზარდა და ოლიმპიადების მასპინძელ ქვეყნებს ავსტრალიაც შეუერთდა. შემდეგ მეოთხე კონტინენტის რიგიც დადგა. მჭიდროდ დასახლებულ აზიის ქვეყნებს შორის უპირატესობა იმთავითვე იაპონიას მიენიჭა, ქვეყანას, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დამლევს თავის თავზე გამოსცადა მასობრივი განადგურების ყველაზე სრულყოფილი იარაღის დამანგრეველი ძალა. ხიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგიკული ბედი მოსვენებას არ აძლევდა ცივილიზებულ სამყაროს და პირველ ყოვლისა იაპონიას. ამიტომაც, როცა მთელი სიცხადით დადგა ოლიმპიადაში დაჩაგრულ ერთა მონაწილეობის საკითხი, იაპონიამ ყველას უყოყმანოდ გაუხსნა კარი.

ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებს (1964 წლის 10-24 ნოემბერი) ოფიციალურად გამოეხმაურა 94 ქვეყნის 6 ათასამდე სპორტსმენი (მათ შორის, თითქმის 1000 ქალი). ამომავალი მზის ქვეყანას თითქმის ყველა მოწინავე სპორტული ქვეყანა ეწვია. იყვნენ ახალშექმნილი დამოუკიდებელი რესპუბლიკებიც, რომლებსაც ამაყად მოჰქონდათ თავიანთი ეროვნული ალმები თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე (ალჟირი, ზამბია, კამბოჯა, კამერუნი, კონგო, მალი, სენეგალი, სპილოს ძვლის ნაპირი, ნიგერია, ტრინიდადი, ტობაგო და ბევრი სხვა).

ტოკიოში უფრო ცხადად, უფრო რელიეფურად, ვიდრე მანამდე, იგრძნობოდა მოწინავე სპორტსმენთა კონკურენცია. შესამჩნევად გაიზარდა პრიზიორთა და რეკორდსმენთა გეოგრაფიული ჰორიზონტიც. ბრძოლას ტონი სოციალისტური ქვეყნების წარგზავნილებმა მისცეს, პირველ ყოვლისა კი უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა. მართალია, პირველობის საკითხს ერთმანეთში მაინც სსრ კავშირისა და აშშ-ს დელეგაციები აგვარებდნენ, მაგრამ საკმაოდ სერიოზული და დამაჯერებელი კორექტივები შეიტანეს ერთის მხრივ გაერთიანებული გერმანიის გუნდმა, მეორე მხრივ კი თვით მასპინძლებმა.




არაოფიციალური გუნდური გამარჯვება ტოკიოშიც საბჭოთა ოლიმპიელებს დარჩათ, თუმცა სხვაობა ამჯერად შესამჩნევად შემცირდა (სულ 27 ქულა). ტოკიომ ბევრი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი დაამხო — ეს უდავოდ მისი ღირსებაა. ოლიმპიურ რეკორდთა ცხრილში შეტანილი იქნა 77 შესწორება. გაუმჯობესდა 35 მსოფლიო რეკორდი. ბევრმა ახალბედა ოლიმპიელმა გაიკაფა გზა დიდ სპორტში, ზოგმა სწორედ ტოკიოში დაასრულა თავისი კარიერა. ამიტომაც ყველა სიამოვნებით იხსენებს ამ ოლიმპიადას, რომელიც თავისი მნიშვნელობით კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მსოფლიო სპორტის ისტორიაში.




ყოველ რეკორდს, ყოველ მიღწევას, როგორც წესი, გამორიცხავს მასზე უკეთესი შედეგი. ასეთია სპორტის დიალექტიკა, უკეთესისკენ სწრაფვის მუდმივი ტენდენცია, და ოლიმპიადებიც მკაცრი ლოგიკურობით იმეორებენ ამ კანონს. ტოკიოს ცისფერ ბილიკებზე 18 ძველი რეკორდი დაიმხო, იმდენი, რამდენი სახეობაც იყო ჩართული ცურვის პროგრამაში. ასეთი რამ ოლიმპიურ თამაშებში არასდროს მომხდარა. ყოველ ფინალურ გაცურვას გამარჯვებით ბედნიერი სპორტსმენისთვის დამატებითი სიხარული მოჰქონდა რეკორდის სახით. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ XVIII ოლიმპიადის გმირი სწორედ ცურვამ დაასახელა. ქერათმიანი ამერიკელი დონ (დონალდ) შოლანდერი, მორცხვი ჭაბუკის ღიმილით რომ იღიმებოდა მილიონებს, ლეგენდარული ჯ. ვაისმიულერის ღირსეული მემკვიდრე გახდა და შინ სამი ოქროს მედლით დაბრუნდა. მაგრამ მან, ამავე დროს, ღრმა კვალი დატოვა ცურვის ისტორიაში, როგორც თანამედროვე სპორტსმენის ყველაზე სრულყოფილმა სიმბოლომ.

• • •

სურათებზე: მორიგი ჯილდოს მიხედვით მიიშურება პირველი სამეული (შუაში — დ. შოლანდერი); XVIII ოლიმპიადისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი პლაკატი.

## მძლეოსანთა სტარტები

პრაღა, 20 აგვისტო. მ. ჰიუბნეროვამ ჩეხოსლოვაკიის რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში — 187 სმ.

ვარშავა, 20 აგვისტო. პოლონეთის ჩემპიონატში 200 მეტრზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ი. შევინსკამ შემოაღნიშნული მანძილი 22,7 წამში გაირბინა, ხოლო ე. სომზიუკი 804 სმ სიგრძეზე გადახტა.

სოფია, 21 აგვისტო. ბულგარელ მძლეოსანთა პირველობაში დ. იორგოვა 675 სმ სიგრძეზე გადახტა. ეს ოლიმპიურ სეზონში მსოფლიოს სტადიონებზე მეორე შედეგია. იგი მხოლოდ 2 სანტიმეტრით ჩამოუვარდება ვ. უაიტის (აშშ) მაჩვენებელს და ბულგარეთის ახალი რეკორდია.

ბერლინი, 21 აგვისტო. გდრ-ის დედაქალაქში ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარგიტა გუმელმა ბირთვი 19,74 მეტრზე ჰკრა. რიტა შმიდტი 186 სმ სიმაღლეზე გადახტა, ახალგაზრდა დაგმარ მალეცკიმ კი 200 მ 23 წამში გაირბინა. ვაჟთა შორის ეს მანძილი ყველაზე სწრაფად ზიგფრიდ შენკემ დაფარა — 20,5. 110 მეტრზე თარჯრბენში ევროპის ჩემპიონმა ფრანკ ზიბეკმა 13,3 წამი აჩვენა. ევროპის ექს-ჩემპიონმა დეტლეფ ტორიტმა ბადრო 63,24 მეტრზე ტყორცნა.

ჰელსინკი, 21 აგვისტო. ფინელმა მძლეოსნებმა მატჩი მოუგეს შვედებს. ვაჟთა შედეგია 236,5:173,5, ხოლო ქალთა — 73:60. ტ. კანტანენმა ჩრდილოეთის ქვეყნებისა და ფინეთის რეკორდი დაამყარა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — 8.23,0. შვეციის რეკორდით II ადგილზეა ა. გერდერუდი — 8.23,4. ლ. ვირენმა მოიგო 5000 მეტრზე რბენა — 13.32,0. მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ი. კინუნენმა (ორივე — ფინეთი) შუბი 84,76 მეტრზე ტყორცნა. შვედი ი. დალგრენი 217 სანტიმეტრზე გადახტა. იგივე სიმაღლე აიღო ფინელმა ლ. ვისკარიმაც, ოღონდ მას მეტი ცდა დასჭირდა.

### პირველი 6 ადგილი

ბრიუსელი, 21 აგვისტო. ხუთი ეტაპისგან შემდგარ ბელგიის ველორბოლაში პირველი 6 ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს. საუკეთესოა გორკელი ვ. ლიხაჩოვი, მომდევნო ადგილებზე კი გავიდნენ ნალჩიკელი ი. ტრიფონოვი, მინსკელი ვ. ბასკო, ჩებოქსარელი ვ. იარდი, ომსკელი გ. კომნატოვი და კუიბიშეველი ბ. შუხოვი. იაროსლაველი ი. მიხაილოვი IX ადგილზე გავიდა. საბჭოთა ველოსიპედისტების უმრავლესობისთვის ეს შეჯიბრება უკანასკნელი იყო ოლიმპიადის წინ.

### სამზადისის პროგრამით

ბუდაპეშტი, 21 აგვისტო. ოლიმპიური ტურნირისთვის სამზადისის პროგრამით ბოლო ამხანაგური მატჩი უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა უნგრეთის დედაქალაქის სტადიონზე ჩაატარა. მასპინძლებმა ანგარიშით 2:0 სძლიეს კიოლნის გუნდს.

დასავლეთგერმანელთა კარში ბურთები გაიტანეს დუნაიმ და კოზმამ.

### შესარჩევი შეჯიბრების შემდეგ

აუგსბურგი, 20 აგვისტო. პოლონეთისა და ესპანეთის კალათბურთელთა ნაკრები გუნდები მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებენ. ეს ცნობილი გახდა აქ გამართული შესარჩევი შეჯიბრების შემდეგ. პოლონელებს ოლიმპიური ტურნირის გახსნა ხვდათ წილად — 27 აგვისტოს ისინი ფილიპინების ნაკრებს შეხვდებიან.

პოლონეთის გუნდი წინასწარ „ბ“ ჯგუფში ითამაშებს, სადაც სსრ კავშირის ნაკრებიც შედის. ესპანელები წინასწარ „ა“ ჯგუფში გამოვლენ.

## ოლიმპიადის ეკრანი

XX ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სპორტის 21 სახეობა შედის. ერთ ქვეყანაში მაყურებლებს შეიძლება მოკრივეთა შეჯიბრების ნახვა უფრო სურდეთ, მეორე ქვეყანაში — ჭიდაობისა, მესამეში — ფეხბურთისა. „ევროვიზიისა“ და „ინტერვიზიის“ სისტემებში შემავალი ყველა სახელმწიფოს სურვილის სავსებით დაკმაყოფილება შეუძლებელია. აი, რატომ არის, რომ ეგრეთ წოდებული მსოფლიო პროგრამის ჩამოყალიბებისას ნასში შეტანილია შეჯიბრებები რომელთა ტრანსლაციითაც სახელმწიფოების უმეტესობაა დაინტერესებული.

მაგრამ ამ მსოფლიო პროგრამას ერთი არსებითი ნაკლი აქვს: მასში სავსებით უგულებელყოფილია სპორტული თამაშები. მაგალითად, სსრ კავშირისა და მექსიკის ფეხბურთელთა გუნდების მატჩი მხოლოდ ამ ორი სახელმწიფოს სპორტის მოყვარულებს აინტერესებთ. კრივში შეჯიბრების ნახვა კი ერთბაშად 56 სახელმწიფოში სურთ. როგორ იქნება საქმე?

რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საერთაშორისო ორგანიზაციას „ინტერვიზიის“ არხებით საშუალება ექნება გადასცეს დამატებითი პროგრამა, რომელიც სოციალისტური ქვეყნების ტელემაყურებელთა სურვილს ითვალისწინებს საბჭოთა კავშირმა, მაგალითად, პროგრამაში შეიტანა სსრ კავშირისა და გფრ-ის კალათბურთელთა მატჩი, სსრ კავშირისა და მექსიკის ფეხბურთელთა შეხვედრა, დანია — სსრ კავშირის ხელბურთელთა თამაში და ა. შ.

საბჭოთა ტელევიზიის პროგრამა ისე დგება, რომ გათვალისწინებული იქნეს მსმენელთა და მაყურებელთა ფართო წრეების ინტერესები. პირველი პროგრამით ცენტრალური ტელევიზია გადაცემებს დაიწყებს დღის 12 საათზე (დრო აქ და ყველგან მოსკოვისაა. — რედ.), აგრეთვე, 21 საათზე და 30 წუთზე. დღე-ღამეში გადაცემებს დაახლოებით 5 საათი დაეთმობა. 1 სექტემბრიდან მეორე პროგრამით სამუშაო დღეებში 19-20 საათზე, ხოლო შაბათ-კვირას უფრო ადრეც მოეწყობა ტრანსლაცია ოლიმპიადიდან. XX ოლიმპიურ თამაშებს პროგრამა „ვრემიაც“ გააშუქებს.

რადიოთი ოლიმპიადის ფინალური შეჯიბრებების რეპორტაჟები მოეწყობა პროგრამა „მაიაკით“. თამაშების გახსნა და დახურვა პირველი პროგრამით გადაიცემა. სპორტულ დღიურებს მოისმენთ 12 საათსა და 10 წუთზე, 18 საათსა და 40 წუთზე და 23 საათზე პირველი პროგრამის რადიოსადგურებით.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსკოვსა და მიუნხენს შორის დროში სხვაობა 2 საათია. სპორტის ცალკეულ სახეობებში დასკვნითი შეჯიბრებები ტელეეკრანზე იმავე დღეს ვერ მოხვდება. მათს ვიდეოჩანაწერს მეორე დილით ნახავთ.

საბჭოთა ტელევიზიას განზრახული აქვს მოაწყოს საბჭოთა და კანადის პროფესიონალი ჰოკეისტების შეხვედრების ტრანსლაციაც. სიძნელეს ის ქმნის, რომ მატჩები სექტემბრის პირველ რიცხვებში მოეწყობა, როცა მიუნხენში ოლიმპიური ბატალიები იქნება გაჩაღებული. მიუხედავად ამისა, 3 და 5 სექტემბერს ვარაუდობენ სსრ კავშირისა და კანადის ნაკრები გუნდების მატჩების ჩვენებას მონრეალიდან და ტორონტოდან.

უნდა აღინიშნოს ერთი ასეთი დეტალიც: მიუნხენიდან ოლიმპიური თამაშებისა და სსრ კავშირ—კანადის ჰოკეისტების შეხვედრების ტრანსლაციის დროს გამოსახულება ფერადი იქნება

ზ. მელიქ-ფაშაევი,
ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს სპორტის განყოფილების გამგე.
„პრავდა“. № 233 (19741).

## მუნდიალი-72

### სსრ კავშირის პირველობა

# მეტის შეიძლებოდა

### I ლიგა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 19 აგვისტო.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 3:1 (2:0).

„ტორპედო“: გრძელიშვილი, ფრიდმანი, პეტროვი, მირონოვი, ჰოხონელიძე, ოქროპირაშვილი (ჰოლაძე), ლენინოვი (შელია), ამბარცუმიანი, ფესტვენიძე, ხერხაძე, ჯ. სილაგაძე.

„შახტიორი“: ვოლკოვი, პოდლიხი, აშირბეკოვი, გერასიმენკო, ვალკოვი, კოტოვი (ბოჩარნიკოვი), სალოვი (ლუკიანჩუკი), ნოვიკოვი, აბგოლცი, ისკაკოვი (კრივულინი), სავჩენკოვი.

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 4:3 „ტორპედოს“ სასარგებლოდ.

წინა მატჩისგან განსხვავებით, როცა ჩვენმა გუნდმა საკუთარ მინდორზე დასანანი მარცხი იწვნია, ტორპედოელებმა ამჯერად გაცილებით ორგანიზებულად, ენერგიულად და მონდომებით ითამაშეს. განსაკუთრებით კარგად გამოიყურებოდა კოლექტივი იერიშის დროს. საუკეთესოდ, ერთმანეთთან შეთანხმებით ითამაშეს ხერხაძემ და სილაგაძემ, მარჯვენა ფლანგზე კვლავ გამოიჩინა თავი ფესტვენიძემ, შეტევის სისტემატური მონაწილენი იყვნენ ნახევარმცველები ლენინოვი და ოქროპირაშვილი.

კაცმა რომ თქვას, ქუთაისელებს უკეთესი ანგარიშითაც შეეძლოთ მატჩის დამთავრება, თუმცა გამარჯვება ისედაც დამაჯერებელი იყო.

უკვე მე-2 წუთზე სილაგაძემ ძელს მოახვედრა ბურთი, ხოლო უკუგდებულ ბურთს ფეხი ააცილა ფრიდმანმა. შემდეგ ვოლკოვს ძნელი ბურთების აღება მოუხდა ხერხაძისა და სილაგაძისგან.

მასპინძელთა განუწყვეტელ იერიშებში შედეგიანი გამოდგა ლენინოვის შორეული დარტყმები. ჯერ 25-ე წუთზე მან დაახლოებით 23 მეტრის მანძილიდან უძლიერესი ბურთი გაგზავნა „შახტიორის“ კარში, 5 წუთის შემდეგ კი ასევე დაარტყა და ვოლკოვი მზად არ აღმოჩნდა ბურთის ასაღებად — 2:0.

ყარაგანდელებმა ტაიმის დასასრულს სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ გრძელიშვილმა აკრობატული ნახტომით მოიგერია კოტოვის დარტყმა, მერე კი ბოჩარნიკოვმა ააცდინა ბურთი მიზანს.

შესვენების შემდეგ კვლავ „ტორპედო“ უტევდა. „შახტიორის“ მეკარემ და მცველებმა რამდენიმეჯერ იხსნეს გუნდი სახიფათო ვითარებაში, 62-ე წუთზე კი შეცდომა დაუშვა გრძელიშვილმა და პეტროვმა ზედ კარის საზიდან გამოიტანა ბურთი.

66-ე წუთზე სტუმრებს კიდევ ერთხელ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან. ეს გოლი დიდი ოსტატობით, ეფექტურად გაიტანა ხერხაძემ. მან დრიბლინგით აუარა გვერდი ზედიზედ რამდენიმე მცველს, გავიდა მეკარის პირისპირ და ზუსტად დაარტყა.

78-ე წუთზე „შახტიორმა“ ისარგებლა იმით, რომ ტორპედოელებმა რამდენადმე უკლეს ტემპს და ნოვიკოვმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა. ამის შემდეგ ქუთაისელებს კვლავ შეეძლოთ კარის აღება: 82-ე წუთზე გარღვევაზე გასული შელია მოცელეს „შახტიორის“ მცველებმა, რისთვისაც მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა. სილაგაძის სუსტი დარტყმა ვოლკოვმა მოიგერია.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

● ●

### ოსნე ძალები

19 აგვისტოს ორჯონიკიძეში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და პერმის „ზვეზდა“. მასპინძლებმა ძლიერად ითამაშეს და ლიდერთა ჯგუფში მყოფი სტუმრები დაამარცხეს ანგარიშით 3:1.

## „სიჭაბუკის თასი“ ჩვენია!

ნოვოროსიისკი, 20 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა „სიჭაბუკის თასის“ საკავშირო გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

ტურნირის გადამწყვეტი მატჩი საქართველოსა და ბელორუსიის გუნდებს შორის მოეწყო. ქართველმა ფეხბურთელებმა, რომლებსაც მხოლოდ გამარჯვება მოუტანდა თასს, საუკეთესოდ ჩაატარეს ეს დასკვნითი შეხვედრა, მეტოქე დაამარცხეს და პრიზი მოიპოვეს.

გუნდს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ა. ვარდიაშვილი და თ. კუბლაშვილი.

## „ტყავის ბურთის“ პრიზზე

კრასნოდარი, 21 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ნორჩ ფეხბურთელთა „ტყავის ბურთის“ საკავშირო ფინალურ ტურნირში საქართველოს წარმომადგენლებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ტაჯიკეთის წარმომადგენლებთან შეხვედრაში (4:0) და გავიდნენ ნახევარფინალში, სადაც მათი მეტოქეა ლატვიის გუნდი.

მეორე ნახევარფინალურ წყვილს შეადგენენ აზერბაიჯანისა და გორკის ფეხბურთელები.

ფინალური მატჩი 23 აგვისტოს გაიმართება.

ო. უშვერიძე.

## „შევარდენის“ წარმატება

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავ ზეიმთან დაკავშირებით მოსკოველმა ავიატორებმა გამართეს ფეხბურთელთა ტურნირი, სადაც თბილისის აეროპორტის გუნდი — „შევარდენი“ მიიწვიეს.

თბილისელებმა საუცხოოდ ჩაატარეს ტურნირი, დაამარცხეს შერემეტიევოს (1:0), დომოდედოვოს (2:0), ვნუკოვოს (3:1) აეროპორტების გუნდები და გარდამავალი თასი მოიპოვეს.

თ. კალატოზიშვილი.

# საბჭოთა გუნდები „შესვენებისას“

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში საზაფხულო არდადეგებია, რაც დაკავშირებულია სსრ კავშირის ნაკრების ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობასთან. შესვენებისას ოსტატთა გუნდები ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრებიან უცხოეთის ქვეყნებში, ზოგიერთნი კი შინ მიიღებენ საზღვარგარეთულ გუნდებს.

მოსკოვის „დინამო“ უკვე ამერიკაშია, სადაც აშშ-სა და კანადის გუნდებთან ითამაშებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სტუმარია მინსკის „დინამო“, ხოლო ჩეხოსლოვაკიისა — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

იტალიის სტადიონებზე ამხანაგურ შეხვედრებს ჩაატარებს კიევის „დინამო“, ერევნელი ფეხბურთელები ბულგარეთს გაემგზავრებიან, უგანდაში ითამაშებენ როსტოვის არმიელები. მოსკოვის „ლოკომოტივი“ შვეციაში მონაწილეობს რკინიგზელთა ტრადიციულ ევროპულ ტურნირში, თბილისის „დინამო“ კი დასავლეთ ბერლინში გაემგზავრება.

ლვოვის „კარპატი“ თავის მინდორზე ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს გდრ-ისა და ლიბანის გუნდებთან, შემდეგ კი პოლონეთს გაემგზავრება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები ლვოვის გარდა ვოროშილოვგრადში და ბაქოში ითამაშებენ.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში საჩვენებელ მატჩებს გამართავენ მოსკოვის გუნდები ცსკა, „სპარტაკი“, „ტორპედო“ და ალმა-ათის „ყაირათი“.

მორიგი ცვლილებები მოხდა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში. იმასთან დაკავშირებით, რომ ვოროშილოვგრადის „ზარიას“ და მოსკოვის „დინამოს“ 4-4 მოთამაშე სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებშია, ამ გუნდების მატჩები გადატანილია. კერძოდ, „ზარიას“ შეხვედრები კიევის „დინამოსთან“ (3 სექტემბერს) და მოსკოვის „სპარტაკთან“ (8 სექტემბერს), აგრეთვე, მოსკოვის „დინამოს“ მატჩები თბილისის „დინამოსთან“ (2 სექტემბერს) და „არარატთან“ (7 სექტემბერს) მოგვიანებით შედგება.

## „ლოკომოტივის“ პირველი გამარჯვება

ბორლენდი, 20 აგვისტო. რკინიგზელთა საერთაშორისო კავშირის თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდმა შვეციის ამ ქალაქში ანგარიშით 2:0 დაამარცხა მასპინძელი ქვეყნის რკინიგზელთა ნაკრები. ორივე ბურთი შესვენებამდე გაიტანეს ჩესნოკოვმა და კოზლოვმა.

ამ გუნდების მეორე მეოთხედფინალური შეხვედრა ოქტომბერში გაიმართება სსრ კავშირში.

ზემოაღნიშნულ კოლექტივთა გარდა თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ ინგლისის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები.

მოსკოვის „ლოკომოტივი“ შვეციაში ამხანაგურ მატჩსაც გამართავს — ევლეში ითამაშებს.

# ფინალის საგზურებისთვის

### ჭადრაკი

სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატები მუდამ ბევრ ცნობილ და ახალბედა მოჭადრაკეს იზიდავს. მით უმეტეს საინტერესოა წლევანდელი ტურნირები, რომლებიც მსოფლიო პირველობის ზონალური შეჯიბრებებიცაა.

ვაჟთა მე-40 ჩემპიონატის ფინალი ბაქოში გაიმართება 16 ნოემბრიდან 19 დეკემბრამდე. სათამაშოდ მიწვეული არიან გამოჩენილი დიდოსტატები ბ. სპასკი, ტ. პეტროსიანი, მ. ტალი, ვ. სმისლოვი და სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. სავონი. დანარჩენ მოჭადრაკეთათვის დაინიშნა ოთხი ნახევარფინალური ტურნირი. ორი შეჯიბრება უკვე ჩატარდა უჟგოროდსა და ჩელიაბინსკში, ორიც კალინინგრადსა და ოდესაში დაიწყო.

ნახევარფინალურ ტურნირებში საქართველოს მოჭადრაკეებიც ჩაებნენ. უჟგოროდში, როგორც ცნობილია, ითამაშა დიდოსტატმა ბ. გურგენიძემ, მაგრამ ფინალში ვერ მოხვდა: 8 ქულა მოაგროვა 17-დან და X-XIV ადგილები გაიყო.

ფინალის საგზური მოიპოვა დიდოსტატმა ე. გუფელდმა, რომელმაც 11 ქულა მოაგროვა და II-V ადგილები გაინაწილა.

ფინალში თამაშის უფლებისთვის კალინინგრადში თამაშობენ თბილისელი ოსტატები რ. ჯინჯიხაშვილი და დ. ჯანოევი, ხოლო ოდესაში — საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი თ. გიორგაძე. სტარტზე ჯინჯიხაშვილმა სძლია დიდოსტატ ა. სუეტინს. ჯანოევმა თავისებური რეკორდი დაამყარა: მან და დიდოსტატმა ი. ბალაშოვმა ყველაზე გრძელი, 124-სვლიანი პარტია ითამაშეს (იგი ყაიმით დამთავრდა).

ამ ნახევარფინალური ტურნირებიდანაც ფინალის მხოლოდ ოთხ-ოთხი საგზური გაიცემა.

ქალთა 32-ე ჩემპიონატის ფინალს ერევანი უმასპინძლებს 1 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე. ტურნირში მიწვეული არიან ნ. გაფრინდაშვილი, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩების მონაწილენი ნ. ალექსანდრია, ტ. ზატულოვსკაია, ა. კუშნირი და სსრ კავშირის ჩემპიონი ი. ლევიტინა.

სხვა ფინალისტების გამოსავლენად სვერდლოვსკში, კლაიპედაში, დონეცკსა და ჟდანოვში ნახევარფინალური ტურნირები ჩაიმართა. მათში საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ ფინალში ვერც ერთი ვერ მოხვდა. სვერდლოვსკში თამაშობდა ოსტატობის კანდიდატი ნ. ჩიქოვანი. მან 5,5 ქულით (13-დან) მხოლოდ IX-XI ადგილები გაიყო. კლაიპედაში იყო პირველთანრიგოსანი თ. კაჭაროვა. მისი შედეგია 5,5 ქულა, X-XI ადგილები. დონეცკში ითამაშა ოსტატმა ც. კობაიძემ. მან 7 ქულით VI ადგილი დაიკავა. ჟდანოვში გამოდიოდა ოსტატობის კანდიდატი ც. კახაბრიშვილი — 6 ქულა და VII ადგილი.

## ხოკეი 72

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

● ●



მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს არასდროს წაუგია ასეთი დიდი ანგარიშით: მეორე წრის მატჩი მან კიევში წააგო ადგილობრივ „სპარტაკთან“ — 0:38 (0:16). ყველაზე შედეგიანი გამოდგა მასპინძელთა მოთამაშე მწვრთნელი ი. ბირულია, რომელმაც თავის გუნდს 18 ქულა მოუტანა.

ლენინგრადში ადგილობრივმა „ბურევესტნიკმა“ წააგო მოსკოვის „ფილისთან“ — 6:9 (3:3). მოსკოველთაგან საჯარიმოებით ორჯერ მიაღწია წარმატებას ბ. ივაშოვმა.

## „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე

დამთავრდა ჯგუფური ტურნირები გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. რიგაში გაიმარჯვეს ადგილობრივი „დინამოს“ ჰოკეისტებმა, მოსკოვში — ცსკა-მ, ჩელიაბინსკში — გორკის „ტორპედომ“, ლენინგრადში — მოსკოვის „სპარტაკმა“.

ამ ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების ნახევარფინალური მატჩები 13 სექტემბერს გაიმართება.

## 400 — ბაზალეთზე



თბილისის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის 400 მუშაკი—სართავ-საქსოვი და მაუდ-კამვოლის კომბინატების, № 1 და № 7 სატრიკოტაჟო ფაბრიკებისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები მოვიდნენ ბაზალეთის ტბაზე, რათა ღირსეულად აღენიშნათ ფიზკულტურელის საკავშირო დღე, ჩაებარებინათ მშდ კომპლექსის ნორმატივები.

შეჯიბრებათა პროგრამაში იყო ცურვა, ნიჩბოსნობა, ხელყუმბარის ტყორცნა, რბენა მოკლე დისტანციებზე, ბირთვის კვრა და სხვ.

შეჯიბრებებმა წარმატებით ჩაიარა. 250 მონაწილემ ნორმატივები ჩააბარა ვერცხლის, 40-ზე მეტმა კი ოქროს სამკერდე ნიშანზე.

წარმტაცი სანახავი იყო ამ დღეებში ბაზალეთის ტბის ახლომდებარე მიდამოები. აქ გაეკრათ ლოზუნგები, მშდ კომპლექსის ცხრილები, სპორტსმენები გამოწყობილი იყვნენ ლამაზ ფორმაში.

გადაწყდა მასობრივი სტარტები ბაზალეთის ტბის მიდამოებში სისტემატურად მოეწყოს.

ზ. კოვალიოვი

## „სპორტლოტოს“ მოთამაშეთა საყურადღებოდ!

20 აგვისტოს კალინინში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 23-ე ტირაჟი. იღბლიანი აღმოჩნდა შემდეგი ნომრები: 9 (ჭიდაობა), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 25 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 33 (რაგბი), 43 (ფარიკაობა), 45 (ფეხბურთი).

მკითხველთა თხოვნით, გაგაცნობთ როდის და რომელ ქალაქებში მოეწყობა „სპორტლოტოს“ დანარჩენი წლევანდელი ტირაჟები.

| ტირ. | თარიღი | ქალაქი |
|---|---|---|
| 24-ე | 30. VIII | ყარაგანდა |
| 25-ე | 10. IX | ხარკოვი |
| 26-ე | 20. IX | ერევანი |
| 27-ე | 30 IX | იაროსლავლი |
| 28-ე | 10. X | ჩელიაბინსკი |
| 29-ე | 20. X | მოსკოვი |
| 30-ე | 30. X | ვოროშილოვგრადი |
| 31-ე | 10. XI | რიგა |
| 32-ე | 20. XI | კურსკი |
| 33-ე | 30. XI | თბილისი |
| 34-ე | 10. XII | ყაზანი |
| 35-ე | 20. XII | გორკი |
| 36-ე | 30. XII | მოსკოვი |

## რაიონული სპარტაკიადები



მოსწავლეთა VII რაიონულ სპარტაკიადაში საშუალო და რვაწლიანი სკოლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საშუალო სკოლების შეჯიბრებაში ყველას აჯობეს ასპინძელებმა. II ადგილზე არიან სოფ. ოშორის ფიზკულტურელები, ხოლო III — სოფ. დამალის ნორჩები. რვაწლიანი სკოლების ასპარეზობაში გაიმარჯვეს სოფ. იდუმალის მოსწავლეებმა. II ადგილზე არიან საროელები, ხოლო III — რუსთაველები.

ზ. ფოცხვერაშვილი,
რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

### ✦ აბაშა

გაიმართა სოფლის სკოლების მოსწავლეთა პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში 9 საშუალო და 8 რვაწლიანი სკოლის 138 სპორტსმენი მონაწილეობდა. საშუალო სკოლების კოლექტივთა შორის გუნდური პირველობა ნაესაკოვოელებმა მოიპოვეს, რვაწლიან სკოლებში კი მაიდნელებმა.

რ. ჭანტურია.

# ალკოჰოლიზმს ჩვენს წრეში რა უნდა?!

ალკოჰოლიზმმა და ლოთობამ ჩვენში დიდი ხანია დაკარგა სოციალური შინაარსი. ბოლო წლებში ალკოჰოლიზმის შემთხვევები მნიშვნელოვნად მცირდება, მაგრამ ზოგჯერ მაინც გვხვდება ახალგაზრდებში. სამწუხაროდ ამ ახალგაზრდებს შორის სპორტსმენებიც არიან. არა ერთი და ორი მაგალითია ცნობილი, როცა ალკოჰოლის გავლენით სპორტული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას სამარცხვინოდ დაუტოვებია სარბიელი. ბევრი დიდი მომავლის სპორტსმენი, რომელსაც საერთაშორისო აღიარებას უწინასწარმეტყველებდნენ, სწორედ ლოთობამ დაღუპა. იგი ფსიქიკურად დაკნინებულა, პიროვნულად და საზოგადოებრივად გადაგვარებულა.

ალკოჰოლიზმის საწყის სტადიას ახასიათებს ზოგიერთი ნიშანი, რომლის ცოდნასა და დროულად დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაავადების განვითარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს ალკოჰოლის მიმართ გამძლეობის (ტოლერანტობის) ცვლილებას. თუ გამძლეობა მატულობს და პიროვნება ახლა უკვე თავისუფლად იტანს დიდი რაოდენობით სასმელს (ორგანიზმის ყოველგვარი ეგრეთ წოდებული თავდაცვითი რეაქციების (გულისრევა, პირღებინება და სხვ.) გარეშე, ეს ბევრ შემთხვევაში უკვე პირველი მაუწყებელია ალკოჰოლიზმის, როგორც დაავადების, განვითარებისა.

თუ ჯანმრთელი ადამიანი დიდი რაოდენობით ალკოჰოლს ვერ იტანს, დაავადებულისთვის თანდათან იზრდება დოზები, რაც მანამდე ტოქსიკურად (მომწამვლელად) ითვლებოდა მისთვის.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ნიშანია თვითკონტროლის დაკარგვა სმის დროს. ასეთ დროს ადამიანს ეკარგება უნარი განსაზღვროს ნორმალური, ზომიერი დოზა და აგრძელებს სმას მძიმე მოწამვლის განვითარებამდე. ავადმყოფები აღნიშნავენ, რომ დაავადების შემდეგ მანამ სვამენ, სანამ ფეხზე დგომა შეუძლიათ.

მესამე და ამავე დროს მეტად ჯავრცელებული ნიშანია თრობა, რომლის შემდეგაც ადამიანს აღარ ახსოვს სიმთვრალეში ჩადენილი.

საინტერესოა მეოთხე ნიშანი, რომელსაც პირობითად შეიძლება ნაძალადეობა ეწოდოს. ამ დროს მსმელი ფსიქიკურად დამოკიდებული ხდება ალკოჰოლზე. ადამიანს, მართალია უმუშავდება ავადმყოფური ლტოლვა, მაგრამ გრძნობს ამ ნაძალადევ მიდრეკილებას და ებრძვის მას (დასაწყის სტადიაში პიროვნება ამ ფსიქოლოგიურ ბრძოლაში ხშირად იმარჯვებს კიდეც).

თუ მანამდე თრობას რაღაც ფსიქოლოგიური მოტივებით მაინც ხსნიდნენ („უხერხული იყო უარი მეთქვა", „ჩემელა სვამდა" და ა. შ.), ახლა ალკოჰოლის მიღება თვითმიზნად იქცევა. დაავადების ამ საწყის სტადიაში სმა ხშირად განპირობებულია არა გარეგანი მიზეზებით, არამედ უფრო დამოუკიდებელი, შინაგანი ლტოლვით. ავადმყოფები უკვე მარტო სვამენ, ერიდებიან კიდეც მოწმეებს.

ალკოჰოლური დაავადების საწყისი სტადიისთვის დამახასიათებელია კიდევ ერთი ნიშანი, რომელსაც ასთენო-ნევრასთენიული სინდრომი ეწოდება. ეს ნიშანი გულისხმობს ავადმყოფების ფსიქო-ფიზიკურ გადაღლას, მოუსვენრობას, უძლურებისა და სისუსტის გრძნობას, ადვილ ნერვულ აგზნებადობას, ფიზიკურ გამოფიტვას, მოუთმენლობას, შინაგან აფორიაქებას და დაძაბულობას. საგულისხმოა, რომ ასეთი ასთენო-ნევრასთენიული მდგომარეობა არაა უშუალოდ დაკავშირებული სმის დღეებთან, ეს მდგომარეობა გრძელდება ეგრეთ წოდებულ უალკოჰოლო პერიოდშიც.

მეტად საგულისხმოა ნიშანი, რაც დასაწყის სტადიაში მადის თავისებურ ცვლილებას ეხება. თუ წინათ ალკოჰოლი მადის მომატებას იწვევდა და მისი მიღება უპირატესად შესაფერ გარემოში ხდებოდა, ახლა უკვე ალკოჰოლი აქვეითებს მადას: ავადმყოფები სმის დროს იშვიათად ჭამენ, შეუძლიათ სვან სრულიად შემთხვევითს ადგილას, ფეხზე მდგარს, დახლთან...

და ბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ კიდევ ერთ ნიშანზე, რომელიც ასევე დამახასიათებელია დაავადების საწყისი სტადიისთვის. მაშინ, როცა ჯანმრთელ ადამიანს წინადღით (საღამოს) დათრობის შემდეგ დილით ადგომა უჭირს, აქვს ბევრი უსიამოვნო ფიზიკური შეგრძნება, გაბრუებულია, ავადმყოფები ამ სტადიაში, მიუხედავად მიღებული ალკოჰოლის რაოდენობისა და გვიან დაძინებისა, ადრიანად იღვიძებენ „სადი გონებით".

ზოგიერთ მკითხველს შეიძლება დაებადოს კითხვა: რატომ არ შევეხეთ ალკოჰოლური დაავადებისთვის ესოდენ დამახასიათებელ და ყველასგან აღიარებულ ნიშანს, როგორიცაა გამოზარხოშება. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ახასიათებს დაავადების არა პირველ, საწყის, არამედ შემდგომ — მეორე სტადიას. საწყის სტადიაში იგი შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ გამონაკლისის სახით უზომო სმის შემდეგ. ამავე დროს, ეს ნიშანი უმყარია და მისი ჩაქრობისთვის ალკოჰოლის მიღება მუდამ როდია აუცილებელი.

გამოზარხოშების ნიშნის ჩამოყალიბება ხშირად უკვე მიუთითებს ავადმყოფის ორგანიზმში სულ უფრო მკვეთრად გამოხატულ ცვლილებებზე და წარმოადგენს თავისებურ საშიშ წინასწარმაუწყებელს მძიმე — მესამე სტადიაში გადასვლისას.

მეორე სტადიაში ამ ძირითად ნიშანთან ერთად გამოხატულია თრობის ფორმულის შეცვლა, პიროვნების დაგვარების ნიშნები და სხვ., რაც საკმარისად არის გაშუქებული როგორც სპეციალურ ლიტერატურაში, ისე ფართო პრესაში.

ზემოჩამოთვლილი წინასწარმაუწყებელი ნიშნები პირობითია, მეტად ინდივიდუალური და ჯერ კიდევ მოითხოვს დახვეწას, მაგრამ მაინც ძალიან მნიშვნელოვანია ალკოჰოლიზმის დასაწყისის გამოსაცნობად. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ, რომ არც ერთ ცალკეულ ნიშანზე დაყრდნობა არ შეიძლება. ლოთობის დასაწყისზე ეჭვის მიტანა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მოცემულია ყველა ნიშნის ერთობლიობა (რასაკვირველია, გამოხატულების განსხვავებული მაჩვენებლებით), ხოლო მათ ფონზე გარკვეულად შესამჩნევია პიროვნების ერთგვარი ზერელე დამოკიდებულება ყველაფრისადმი, მოვალეობის გრძნობის დაქვეითების ელემენტები და სხვ.

ალკოჰოლიზმს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც ხელს უწყობენ და ხშირად უშუალოდაც განაპირობებენ მრავალი შინაგანი და ნევროფსიქიკური დაავადების აღმოცენებას, იგი ხშირად წარმოადგენს პიროვნების სოციალური მარცხის (პროფესიული წარუმატებლობა, საზოგადოებრივი კრახი, პიროვნული გადაგვარება და სხვ.) მიზეზს და ზიანს აყენებს მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიან ნაწილს. სწორედ ამიტომ, ალკოჰოლიზმის საწყისი სტადიის ცოდნას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ამ დაავადების წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტური ღონისძიებანი მუშავდება და ტარდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, ინსტიტუტის დირექტორის, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერის, აკადემიკოს ა. ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით.

მ. მესტიაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის მთავარი ფსიქიატრი.



ცნობილმა ფრანგმა კინომსახიობმა ლუი დე ფიუნესმა მსოფლიოს პროფესიონალ ველოსიპედისტთა ყველაზე ავტორიტეტულ რბოლაში „ტურ დე ფრანსში" მონაწილეობის მიღება განიზრახა, მაგრამ საქმე მაისურის ჩაცმის იქით არ წასულა. თუმცა ამანაც კი ათასობით მაყურებლის აღტაცება გამოიწვია. როგორც ცნობილია, რბოლაში გაიმარჯვა სახელგანთქმულმა ბელგიელმა მრბოლელმა ედი მერქსმა.





„ვაილიმეთი" — ეს არის 18 წლის წყალზე მოთხილამურე ჰეიდი რიჩარდსონის კრედო. ჰეიდი ამ სახეობაში დიდი ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენია იუნიორთა შორის. წლეულს იგი უფროსებში უძლიერესის ტიტულისთვის იბრძოლებს.



◆ სან-რემო (იტალია), 21 აგვისტო. ნორჩ ფეხბურთელთა აქ დაწყებული ტურნირის პირველ მატჩში „ბურევესტნიკმა" (სსრ კავშირი) იტალიის ქალაქ ალესანდრიის ნაკრებს სძლია — 1:0.

◆ სოფია, 21 აგვისტო. დაიწყო ბულგარეთის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატი. პირველი წრის სასტარტო ტურის 9 მატჩში 45 ბურთი გავიდა. ეს რესპუბლიკის უმაღლესი ლიგის თამაშებში არნახული შედეგიანობაა.

◆ პლოცკი (პოლონეთი), 21 აგვისტო. „მეგობრობის თასზე" იუნიორ ხელბურთელთა აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა, რომლებმაც შეხვედრების ბოლო დღეს პოლონეთის ნაკრებს სძლიეს — 17:15 (8:8). II ადგილზეა ბულგარეთის გუნდი, ხოლო III — პოლონელთა კოლექტივი.

◆ ვინიცა, 21 აგვისტო. 350 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მოტოციკლების კლასში სსრ კავშირის ჩემპიონთა ოქროს მედლები არმიელებმა ი. გარმაშმა და ნ. ბონდარენკომ მოიხვეჭეს. II ადგილზე გავიდნენ ლატვიელები ვ. პუჩსი და ვ. მასალსკისი, ხოლო III — ასევე ლატვიის წარმომადგენლები ი. ველველისი და ი. კუზნეცოვი. „750-იანების" კლასში სამივე საპრიზო ადგილი რსფსრ-ს მოტოციკლისტებს ხვდათ. ოქრო ვ. ტელეგინმა და ჰ. სოსნოვსკიმ მოიგეს. შეჯიბრება სოფელ იაკუშენცის ძლიერად დასერილ, 3200-მეტრიან ტრასაზე გაიმართა.

## ქრონიკა

ვარშავა, 19 აგვისტო. პოლონეთის მშვილდოსანთა ლია ჩემპიონატში შეჯიბრების ერთ-ერთმა მასპინძელმა გრაჟინა კრაუზოვიჩმა 30-მეტრიან დისტანციაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 341 ქულა 360-დან.

ჰელსინკი, 20 აგვისტო. ფინეთისა და შვეციის მძლეოსანთა მატჩში მოასპარეზე პ. ვასალამ (ფინეთი) ევროპის რეკორდი დაამყარა 800 მეტრზე რბენაში — 1.44,5.

კარგ შედეგებს მიაღწიეს შვედმა რ. ბრუხმა (ბადროს ტყორცნა — 65,52 მ) და ფინელმა ა. სალინმა (400 მეტრზე თარჯრბენი — 50,8 წამი).




### სამახსოვრო მედალი ჰიოტგესს

იმ ფეხბურთელებს, რომლებიც გფრ-ის ნაკრებში 50 მატჩს ჩაატარებენ, საზეიმო ვითარებაში გადაეცემათ ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის სამახსოვრო მედლები.

ამას წინათ ასეთი მედალი მიიღო ნაკრების მარჯვენა მცველმა ჰიოტგესმა, რომელიც წარმატებით მონაწილეობდა მსოფლიოსა და ევროპის ბოლო ჩემპიონატებში.

● ●

### ნაკრების მწვრთნელი შეიცვალა

ბულგარეთის ფეხბურთი ბოლო დროს კრიზისს განიცდის — ასეთია რესპუბლიკის ფეხბურთის მესვეურთა დასკვნა. მართლაც, ბულგარელებს ორი სერიოზული ჩავარდნა ჰქონდათ: ერთობ უფერულად გამოვიდნენ ევროპის ბოლო ჩემპიონატში და ოლიმპიური ტურნირის ფინალში ვერ მოხვდნენ.

ყოველივე ამის გამო, ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელის შეცვლა გადაწყვიტა. ნაკრების სათავეში სპასოვის ნაცვლად ჩააყენეს ბერკოვი, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობდა სოფიის „ლოკომოტივს".

● ●

### ახლა კოსტა-რიკაში

მასხიომ სახელი გაითქვა 50-იანი წლების მიწურულს არგენტინაში, სადაც იგი სივორისა და ანჯელილოს საუკეთესო პარტნიორი იყო. შემდეგ მასხიო თავის მეგობრებთან ერთად იტალიაში გადაბარგდა. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ეს „შესანიშნავი სამეული" არგენტინაში დაბრუნდა, ამასთან, სამივე მწვრთნელი გახდა.

ახლა მასხიოს ახალი თანამდებობა აქვს: იგი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ამზადებს კოსტა-რიკის ნაკრებს.

### მაიერის რეკორდი

გფრ-ის ნაკრების ძირითადმა მეკარემ ზ. მაიერმა ამ გუნდში უკვე 42 მატჩი ჩაატარა. თავისი მე-40 მატჩით მან გაუსწრო ცნობილ მეკარე ჰ. ტილკოვსკის, მანამდე ნაკრებში თამაშის რეკორდსმენს მეკარეთა შორის. გარდა ამისა, მაიერს ბუნდესლიგაში 200 მატჩი აქვს ჩატარებული, უფრო მეტი, ვიდრე დღეს მოქმედ ყველა გერმანელ მეკარეს.



### 20000-კილომეტრიანი მარათონი

30 წლის იტალიელი რობერტო ბესის 14 თვე დასჭირდა რომიდან ტოკიოში ფეხით ჩასასვლელად. მისი გზა (20 ათასი კმ) ახლო აღმოსავლეთისა და აზიის 16 ქვეყნის ტერიტორიაზე გადიოდა. ბესი ყოველდღიურად 14 საათს ატარებდა სიარულში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
უე 02650